პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 14 ივლისი, 1943 წ. № 149 (6774). ფასი 20 კაპ.

სანიმუშოდ მოვუაროთ ციტრუსოვანთა ნარგავებს

უკანასკნელ წლებში საქართველოს სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს ციტრუსოვანთა და ევკალიპტის ნარგავების გაშენების დარგში. მთელი რიგი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მზრუნველობით უვლიან ციტრუსოვანთა ნარგავებს და კარგ მოსავალსაც იღებენ. მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ბერიას სახელობის და სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებში ციტრუსოვანთა ნარგავებს გულმოდგინედ უვლიან. ასევე ითქმის ქობულეთის და ცხაკაიას რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებზე, სადაც სერიოზულ ყურადღებას აქცევენ ციტრუსოვანთა ნარგავების დამუშავებას.

მაგრამ ჯერ კიდევ ვხვდებით ციტრუსოვანთა ნარგავებისადმი უფარდელ დამოკიდებულებას. ეს იმაში გამოიხატება, რომ ზოგან ძლიერი ყინვების გავლენას ზედ დაერთო ციტრუსოვანი ნარგავების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, რაც გამოწვეული იყო მოუვლელობით და აგროტექნიკური ღონისძიებათა დაუცველობით. მაგალითად, გაგრის რაიონის სოფ. ოტრადნოეს ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ექვსი ჰექტარი გაშენებული 5-6-წლიანი ლიმონის ნარგავები მთლიანად ჩახშობილია ტყით. ასეთივე სურათია გაგრის რაიონის სოფ. კოლხიდის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში. ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობა „კოლხიდაში“ ნარგავების ნაწილი გადაჭმულია საქონლის მიერ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმმა პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა და სამეწარმეო-ქმედო ორგანოებს საბრძოლო ამოცანად დაუსახა ციტრუსოვანი ნარგავებისა და ევკალიპტების რემონტის, დაცვისა და შემდგომი განვითარების ღონისძიებათა გატარება. პლენუმის გადაწყვეტილებაში მოცემულია კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებაზე დამოკიდებულია ციტრუსოვანთა მეურნეობის შემდგომი აღმავლობა. ახლა გადაუდებელი ამოცანაა — გადაჭრით გავაუმჯობესოთ ციტრუსოვანთა ნარგავების მოვლა, თვალსაჩინოებით გავუფრთხილდეთ თითოეულ ნარგავ ციტრუსს და მივაღწიოთ მკვეთრ გარდატეხას ციტრუსოვანთა მოვლის გაუმჯობესების საქმეში. სუბტროპიკული რაიონების ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სამეწარმეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა მთელ თავის მუშაობას სიფუძველად უნდა დაუდონ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის დადგენილება და ბოლშევიკური შეუპოვრობით იბრძოლონ მისი განუხრელად განხორციელებისათვის.

ზაფხული ფრიად პასუხსაგები სამუშაო პერიოდია ციტრუსოვანთა მოვლის საქმეში. ისეთი სამუშაოები, როგორიც არის ციტრუსოვანთა ნარგავების გათოხნა, გამოცელვა, შეწამლვა, ამოძირკვა, სადრენაჟო ქსელის სრულ წესრიგში მოყვანა სამხედრო ტემპებით უნდა გავაჩაღოთ ყველა კოლმეურნეობაში, ბრიგადაში, საბჭოთა მეურნეობაში. ამ სამუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებით უზრუნველვყოფთ პლანტაციებსა და სანერგეებში ციტრუსოვან მცენარეთა ნორმალურ ზრდას და, მაშასადამე, მოსავლიანობის გადიდებას. ამავე დროს ეს ჰქმნის ყველა წინაპირობას ციტრუსოვანთა სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ციტრუსოვანთა ნარგავების გათოხნა, გამოცელვა, შეწამლვა ზოგან ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ქობულეთის რაიონში შეუწყნარებელი მდგომარეობაა ციტრუსოვანთა პლანტაციების შეწამვლის საქმეში. ოჩხამურისა და ციხისძირის საბჭოთა მეურნეობებში შეწამლვა გაჭიანურეს. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ ციტრუსოვანთა მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს. საჭიროა არ დავუშვათ ღეროსირგვლივი წრეებისა და მწკრივთა შორის დასარევლიანება. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის დადგენილებით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქარისა და ყინვის მავნე გავლენისაგან ციტრუსოვანთა ნარგავების დაცვის საქმეში მძლავრი ქარდამცავი ზოლების შექმნას. ამთავითვე ფართოდ უნდა გავშალოთ მუშაობა ცოცხალი ღობის გაშენებისათვის, პირუტყვისაგან ციტრუსების დაცვა საბრძოლო ამოცანაა. დროულად შევაკეთოთ არსებული ღობეები და სწრაფად დავამთავროთ ახალი ღობეების გაკეთება. პლანტაციების შემოკავების სამუშაოები უნდა დავამთავროთ არა უგვიანეს 1943 წლის 1 ოქტომბრისა. სუბტროპიკული რაიონების ხელმძღვანელმა მუშაკებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ პირუტყვისაგან ნარგავების გაფუჭების სავსებით აღმოსაფხვრელად. სასტიკ პასუხისგებაში უნდა მივცეთ ყველა ის პირი, ვინც დაუშვებს პირუტყვისაგან ციტრუსოვანი კულტურების გაფუჭებას.

ციტრუსოვანთა მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს სანერგეების მდგომარეობის გაუმჯობესება. ივლისის ბოლოს დაიწყება ციტრუსოვანთა მყნობა. სუბტროპიკული რაიონების პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების საბრძოლო ამოცანაა—საუკეთესოდ მოემზადონ ციტრუსების მყნობისათვის. ადგილებზე რაიმიწგანებმა მოკლევადიან კურსებზე უნდა მომზადონ 570 მყნობელი. ამ საქმეში უნდა გამოვიყენოთ ძველი კადრების მდიდარი გამოცდილება და ამავე დროს შევარჩიოთ ყველაზე უნარიანი ადამიანები, უმთავრესად კოლმეურნე ქალთაგან, სანერგეებში სამუშაოდ. ახალ კადრებს სერიოზული დახმარება უნდა გაუწიონ სპეციალისტებმა. მყნობა ისე უნდა ჩავატაროთ, რომ მივიღოთ გახარების მაღალი პროცენტი, უზრუნველვყოთ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სტანდარტული ნერგებით. ამბ. **ლ. ბერია** თავის დროზე მიგვითითებდა: „...მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ მყნობის მაღალ ხარისხს, რომელიც უზრუნველჰყოფს მაღალხარისხოვან ნერგთა და გახარების მაღალ პროცენტის მიღებას. უნდა დაიმუნას მხოლოდდამხოლოდ შემოწმებული და აპრობირებული სანამყენე მასალა“. მყნობისათვის საჭირო კალმები აღებულ უნდა იქნას მხოლოდ შემოწმებული სადედე ხეებიდან, რომლებიც ხასიათდებიან მაღალი მოსავლიანობით და ყინვისადმი გამძლეობით.

დიდი სამამულო ომის დღეებში სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეები ახალ ინიციატივას იჩენენ ციტრუსოვანთა ნარგავების მოვლის გაუმჯობესებისათვის. ბათუმის რაიონის სოფ. ხელვაჩაურის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა წერილით მიმართეს აჭარის სუბტროპიკული რაიონების კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას და თავის მხრივ იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი ციტრუსოვანთა ნარგავების სანიმუშოდ მოვლისა და უხვი სამხედრო მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. ხელვაჩაურელთა ეს ძვირფასი ინიციატივა ყოველმხრივ მისასალმებელია და ეჭვი არ არის, რომ იგი მხურვალე გამოხმაურებას და ფართო მხარდაჭერას ჰპოვებს საქართველოს ციტრუსოვანთა რაიონების ახალგაზრდობაში.

წელს მოსალოდნელია ციტრუსების მაღალი მოსავალი. საჭიროა დაუცხრომლად ვიზრუნოთ მსხმოიარე ხეებზე და საუკეთესოდ მოვემზადოთ ციტრუსების ნაყოფის უდანაკარგოდ აღებისათვის.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

13 ივლისის ოპერაციული ცნობა

13 ივლისს ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგის ქვეითს ჯარსა და ტანკებთან ბელგოროროდის მიმართულებით. ორიოლ-კურსკის მიმართულებით გასული დღის განმავლობაში მოწინააღმდეგეს დიდი იერიშები არ უწარმოებია.

ჩვენმა ჯარებმა ბელგოროროდის მიმართულებით ერთი დღის ბრძოლების განმავლობაში დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 96 ტანკი. არასრული ცნობებით საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის მიერ ჩამოგდებულია გერმანელთა 13 თვითმფრინავი.

დაზუსტებული ცნობებით 12 ივლისის განმავლობაში ორიოლ-კურსკისა და ბელგოროდის მიმართულებებით საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის არა 18, არამედ 79 თვითმფრინავი.

* * *

ორიოლ-კურსკის მიმართულებით, მოწინააღმდეგეს, მას შემდეგ, რაც ჩაიშალა ყველა მისი ცდა—გაერღვია ჩვენი თავდაცვა, დიდი იერიშები არ უწარმოებია. დღის განმავლობაში სწარმოებდა საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლა და ბრძოლით დაზვერვა. ერთი დასახლებული პუნქტის რაიონში გერმანელთა ქვეითმა ჯარმა, ტანკების დახმარებით, სცადა იერიში მოეტანა ჩვენს პოზიციებზე. ჰიტლერელთა იერიში მოგერიებულ იქნა. მოწინააღმდეგე უკუქცეულია, მან ბრძოლის ველზე დასტოვა დაზიანებული ტანკები და თავის ჯარისკაცთა და ოფიცერთა 400-მდე გვამი. სხვა უბანზე 6 ნაწილის არტილერისტებმა დააზიანეს 5 თვითმავალი ქვემეხი, გაჩფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს გერმანელთა ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი. სხვა უბნებზე მცირე რაზმების შეტაკებები სწარმოებდა და მზვერავი ჯგუფები მოქმედებდნენ.

* * *

ბელგოროდის მიმართულებით გააფთრებული ბრძოლები გრძელდებოდა. გერმანელები ცდილობენ მიაღწონონ წარმატებას რადაც არ უნდა დაუჯდეთ, მაგრამ ყველგან ხვდებიან საბჭოთა ჯარების შეუპოვარ წინააღმდეგობას. ცალკეულ უბნებზე ჩვენმა ჯარებმა კონტრდარტყმებით შეავიწროვეს ჩვენს თავდაცვაში სოლივით შემოჭრილი ჰიტლერელები. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოსდის ტექნიკისა და ცოცხალი ძალის მხრივ. მარტო გუშინდელი დღის განმავლობაში სხვადასხვა უბნებზე ჩვენმა მებრძოლებმა დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 100-ზე მეტი ტანკი, მათ შორის „ვეფხვის“ ტიპის 20 ტანკი, მოსპობილია მოწინააღმდეგის 250 ავტომანქანა და დიდძალი ცოცხალი ძალა.

ბელგოროდის მიმართულების ყველა უბნიდან მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ ჩვენი მებრძოლები და მეთაურები თავგანწირულ ბრძოლას ეწევიან მოწინააღმდეგესთან. გერმანელებმა 12-ჯერ მიიტანეს იერიში იმ ხუთორზე, რომელსაც კაპიტან დზიუბინის გვარდიული ქვეგანაყოფი იცავდა. მამაცმა გვარდიელებმა მოსპეს 11 ტანკი, გაელიტეს 300 ჰიტლერელი და ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევიათ უკან. ერთ უბანზე გერმანელებმა, დიდი ზარალის ფასად, მოახერხეს დასახლებული პუნქტის ხელში ჩაგდება. კაპიტან ტომინისა და უფროსი ლეიტენანტების ფედულოვისა და მიხინის ქვეგანაყოფებმა გადამწყვეტი კონტრიერიშით აღადგინეს მდგომარეობა. ქუჩებში გამართულ ბრძოლაში წითარმიელებმა გაელიტეს მტრის 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდეს 6 ქვემეხი, 4 თვითმავალი ზარბაზანი, 7 რადიოსადგური, 150 ათასი ვაზნა და სხვა დაგლა. ქვემეხის მეთაურმა უფროსმა სერიანტმა კინეაევმა მოსპო მტრის 7 ტანკი „ვეფხვის“ ტიპისა. 6 ტანკსაწინააღმდეგო ასეულის მებრძოლებმა სოკოლნმა, იუფანოვმა, სუშკინმა, კირინენკომ და პოიარომვა ტანკსაწინააღმდეგო თოფებით დაუზიანეს ორ-ორი ტანკი.

6 გვარდიული ნაწილის მფრინავებმა სამი დღის ბრძოლების განმავლობაში ჩამოაგდეს გერმანელთა 156 თვითმფრინავი. საბჭოთა კავშირის გმირმა გვარდიის ლეიტენანტმა ნოვიკოვმა მოწინააღმდეგის 5 თვითმფრინავი ჩამოაგდო. საბჭოთა კავშირის გმირმა გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა კიტაევმა მოსპო მტრის 4 თვითმფრინავი და დაუზიანა 5 თვითმფრინავი. მფრინავი გვარდიის ლეიტენანტი გორობეცი გერმანელთა თვითმფრინავების ჯგუფს შეხვდა ჰაერში. ჩაება რა მათთან ბრძოლაში, ამბ. გორობეცმა გერმანელთა 9 ბომბდამშენი ჩამოაგდო.

* * *

კალინინის ფრონტის ერთ უბანზე ჩვენმა სადაზვერვო ჯგუფებმა მოსპეს გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი და ააფეთქეს 3 მფრური მათში მყოფ ჰიტლერელებიანად. მზვერავებმა ხელთ იგდეს ტყვეები.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა სნაიპერებმა გაელიტეს 194 ჰიტლერელი. არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით დანგრეულია გერმანელთა 43 ძელმიწური საცეცხლე წერტი, 18 ბლინდაჟი და 7 სათვალთვალო პუნქტი, აფეთქებულია საომარ მასალათა საწყობი, მოსპობილია მოწინააღმდეგის ქვემეხი და 6 ტყვიამფრქვევი. ერთ უბანზე იმ ქვეგანაყოფის ნაღმმტყორცნელებმა, რომლის მეთაურიც არის კაპიტანი ნაიჩუკი, სროლა აუტეხეს გერმანელთა ქვეითი ჯარის შეჯგუფებას და ერთ ოცეულამდე ჰიტლერელი მოსპეს.

* * *

ვოლხოვის ფრონტზე ჩვენი არტილერია მტრის პოზიციებს უშენდა. დანგრეულია გერმანელთა 5 ძელმიწური საცეცხლე წერტი, ჩაძირულია 6 ნავი ჰიტლერელებიანად, მოსპობილია მოწინააღმდეგის 2 ქვემეხი და ერთი ექსულიანი ნაღმსატყორცნი.

* * *

გომელის ოლქში მოქმედი პარტიზანული რაზმის მეთაურმა მიიღო ცნობები იმის შესახებ, რომ ერთ სადგურზე უახლოეს დროში მოელოდნენ გერმანელთა ტანკების დატვირთულ მატარებელს. პარტიზანებმა დანაღმეს რკინიგზის ვაკისი სამართავი ფუგასებით და საფრებში ჩასხდნენ. პირველად ცარიელი ვაგონების შემადგენლობამ ჩაიარა, შემდეგ ხეტყით დატვირთულმა მატარებელმა. ბოლოს, გამოჩნდა ეშელონი, რომელსაც მოელოდნენ. როდესაც იგი დანაღმულ უბანზე გადაიოდა, ამფეთქებლებმა დენი ჩართეს. აფეთქების დამსხვრეულია ორთქმლმავალი და 11 პლატფორმა. მათზე მოთავსებული ტანკები საგსებით გაფუჭებულია. პარტიზანთა რაზმ „ზა როდინუს“ ჯგუფმა დასწვა გერმანელთა თვითმფრინავი, რომელიც იძულებით დაეშვა.

* * *

როგორც საბჭოთა საინფორმაციო ბიურო უკვე იუწყებოდა, ჰიტლერელები 6 და 7 ივლისს აცხადებდნენ, რომ ორიოლ-კურსკისა და ბელგოროდის მიმართულებებით შეტევაზე გადავიდნენ არა გერმანელები, არამედ წითელი არმია. ტყვედ წამოყვანილი გერმანელი ჯარისკაცები გადმოგვცემენ:

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა მე-6 ქვეითი დივიზიის მესანგრეთა მე-6 ბატალიონის 1 ასეულის ეფრეიტორმა ბრუნო ფორმელამ აჩვენა: „კვირას, 4 ივლისს, მეთაურმა გამოიძახა მესანგრეთა ჯგუფი, მათ შორის მეც, და გვიბრძანა ქვეითებთან ერთად წაველიყავით რუსების მიერ დანაღმულ მინდვრებში გასასვლელთა გასაკეთებლად. მეთაურმა განაცხადა: „ამაღამ გერმანიის არმია შეტევაზე გადავა, ჰიტლერმა ამოცანად დგვისახა ჩაგვეტოთ რუსები ქვაბში და დავიკავოთ კურსკი“. ჩვენ ვერ მოვახერხეთ შეუმჩნეველად მისვლა დანაღმულ მინდორთან, როგორც კი ხეზე დავეშვით, რუსებმა სროლა აგვიტეხეს. ბევრი ჯარისკაცი მოჰკლეს, მე კი ტყვედ წამომიყვანეს“.

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 36-ე მოტორიზებული დივიზიის 87-ე მოტომსროლელი პოლკის მე-11 ასეულის ობერ-ეფრეიტორმა ბაუმანმა განაცხადა: „4 ივლისს საღამოს ასეულის მეთაურმა წაგვიკითხა ჰიტლერის ბრძანება, რომელშიც ნათქვამი იყო: „5 ივლისს ღილით გერმანიის არმია გადაწყვეტს შეტევას“.

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 383-ე ქვეითი დივიზიის 533-ე პოლკის მე-8 ასეულის ეფრეიტორმა ფრანც ბროტცმა განაცხადა: „4 ივლისს საღამოს ასეულის მეთაურმა ობერ-ლეიტენანტმა სტოპემ წაგვიკითხა ჰიტლერის ბრძანება, რომელშიც ნათქვამი იყო: „ხვალ დაიწყება გერმანიის ჯარების დიდი შეტევა. ამ შეტევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. გერმანიის ჯარებმა საბოლოოდ უნდა გაანადგურონ წითელი არმია“.

ზემოთ მოყვანილი განცხადებანი, ისევე როგორც მრავალ სხვა ტყვე გერმანელ ჯარისკაცთა ჩვენებები, აჩვენებენ, თუ რა ყალთაბანდურ ოინებს მიმართავს ჰიტლერის ბანაკი, რომელიც ცდილობს უარჰყოს გერმანელთა ჯარების შემოტევა ორიოლ-კურსკისა და ბელგოროდის მიმართულებებით.

ფაშისტური ჯოჯოხეთი

კალინინის ფრონტი, 13 ივლისი (საკდესის სპეც. კორ.). ბელორუსიიდან, პარტიზანთა დახმარებით, ფრონტის ხაზზე გადმოვიდა ვიტებსკის ოლქის დრისის რაიონის სოფელ კარკალეკის მცხოვრები ანა ანუფრის-ასული კრუპენია, რომელსაც თან ახლდა 3 ბავშვი და 73 წლის დედა პრასკოვია თეოდორეს-ასული. კრუპენიას ოჯახმა მოგვიტანა ახალი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ძარცვავენ და ულეტენ საბჭოთა ადამიანებს ჰიტლერელი არამზადები.

სოფელ კარკალეკში გერმანელები პირველად შარშან აგვისტოში მოვიდნენ. ფაშისტები დილაადრიან 105 საზიდარით შეიჭრნენ სოფელში, დასდგეს ქუჩებში ტყვიამფრქვევები და ზარბაზანი, შემდეგ კი ჰიტლერელი მეავტომატენი სახლებს მიესივნენ და დაიწყეს ძარცვა. მათ ყველაფერი მიჰქონდათ — პური, ცალუღები, სკამები, ტახსაცმელი. ყველა კოლმეურნენი ტყეში გაიქცნენ და მიწურებში დაიწყეს ცხოვრება. ჰიტლერელები გარემოცვას აწყობდნენ და ყველა დაპერილთ ჰკლავდნენ.

სამი დღის შემდეგ ფაშისტები შეიჭრნენ მეზობელ სოფელ სინჩიჩინოში. გაჩაღდა ერთობლივი ძარცვა. მაგრამ უკან დაბრუნებისას მათ პარტიზანები მიეწვივნენ. 50 ჰიტლერელიდან მხოლოდ ორმა უშველა თავს გაქცევით. ყველა დანარჩენი გაელიტელ იქნა.

საღამოს ფაშისტებმა მოიტანეს ქვემეხები, ნაღმსატყორცნები და შუაღამემდე უშენდნენ ტყეს. შემდეგ კი ყოველდღე ესროდნენ ხოლმე ახლო მდებარე სოფლებს.

ჯალათებმა შეიპყრეს სოფელ კარკალეკის ვეტერინარი პეტრე ბარანოვი, მოიყვანეს დრისის საბაზრო მოედანზე, ქვედა უბიკუჭზე აიკვეს და ისე ჩამოჰკიდეს. ბარანოვის ცოლი ქსენია დახვრიტეს, ხოლო 15 წლის ვაჟი ივანე შებოჭეს, დიდხანს სცემეს, შემდეგ კი გერმანიაში კატორღულ სამუშაოზე გაჰგზავნეს.

მიმდინარე წლის თებერვალში ფაშისტებმა დაიწყეს ყველა სოფლის დაწვა—ერთმანეთზე მაყოლებით. დასწვეს კარკალეკი, შაბალი, კურზუნი, ბუზოვო. ბუზოვოში ცოცხლად დასწვეს 500-მდე კაცი. სოფელს ალყა შემოარტყეს ჰიტლერელმა მეავტომატეებმა, რომლებიც ძალით ერეკებოდნენ კოლმეურნეთ ცეცხლწაკიდებულ სახლებში და ხვრეტდნენ მათ.

— არასდროს არ დავივიწყებთ ფაშისტური ჯოჯოხეთის საშინელებას,—ამთავრებს ანავის ნამბობს ანა კრუპენია. დაე, სამგზის წყეულნი იყვნენ ეს კაციჭამიები.

ე. კორიავიჩევი

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

ქვანახშირის ამოღებაში დაწინაურებულები

ტყიბული („კომუნისტის“ საკ. კორ.). მაღაროელთა სოციალისტიბრების ფართოდ გაშლილის შედეგად ლენინის სახელობის მაღაროს მუშათა კოლექტივმა (უფროსი ლ. ჩქარეული, მთავარი ინჟინერი მ. ოხრიმენკო) მიმდინარე წლის მეორე ნახევარი ქვანახშირის ამოღების გეგმის ყოველდღიური გადაჭარბებით დაიწყო.

გეგმის ზევით ამოღებულია: 6 ივლისს—20 ტონა, 7 ივლისს—25 ტონა, 9 ივლისს—35 ტონა ქვანახშირი.

ტყვარჩელის სტალინის სახელობის შახტის მესამე საეკსკალატაციო უბანთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია ლენინის მაღაროს მეხუთე უბანი გ. ფაშრულიძის ხელმძღვანელობით. ივნისში ამ უბანზე მთავარ-სარდლობის ფონდისათვის 1.037 ტონა ქვანახშირი ამოიღეს გეგმის ზევით,—ივლისში ეს უბანი ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს 130-137 პროცენტით ასრულებს.

გ. ფაშრულიძის უბანს არ ჩამორჩება მეორე უბანი (ინჟ. ჩიტაშვილის ხელმძღვანელობით). ახალი უბნის მომზადებით მაღაროში თავი ისახელა მედალოსანმა სამთო ტექნიკოსმა ლ. ვაშაკიძემ. მან ახალი უბანი მოამზადა ქვანახშირის ძველი კარიერებიდან, საიდანაც ყოველდღიურად იძლევა 65-85 ტონა ქვანახშირს, ვაშაკიძის უბანმა 8 ივლისს გეგმა 118 პროცენტით შეასრულა. ამ უბნის მოწინავე ცვლამ დავით ყუბანეიშვილის ხელმძღვანელობით 8 ივლისს 23 ტონის ნაცვლად 50 ტონა ქვანახშირი ამოიღო.

დ. საბელაშვილი

აღიდებენ მარგანეცის ამოღებას

ჭიათურა („კომუნისტის“ საკ. კორ.). ჭიათურის მარგანტრესტის ს. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს (დირექტორი დ. ერგემლიძე) განსაკუთრებული წარმატებით დაიწყო სამეურნეო წლის მეორე ნახევარი. მაღაროს კოლექტივმა ივლისის პირველ დეკადაში მარგანეცის ამოღების გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა. პროგრესიდების დამზადების დაგალება ამ მაღაროს 103,1 პროცენტით შეასრულა.

უბანმა, რომელსაც ინჟინერი ს. ყალაძე ხელმძღვანელობს, მარგანეცის ამოღების ივლისის პირველი-დეკადის გეგმა 105,3 პროცენტით შეასრულა, მიხეილ კენჭოშვილის უბანმა—101 პროცენტით.

მაღაროს ყველა ცვლა მარგანეცის ამოღების დავალებას გადაჭარბებით ასრულებს. ა. ჭრელაშვილის ცვლამ გეგმა 105 პროცენტით შეასრულა, სპირიდონ ყიფშიძის ცვლამ—109 პროცენტით.

სტახანოველმა ამწმენდმა ა. გაფრინდაშვილმა ივლისის პირველ დეკადაში გეგმის გადამეტებით 79 ტონა მარგანეცი ამოიღო, ჯ. თაბაგარმა—102 ტონა, პლ. ბოკოველმა —72 ტონა. ჭიათურელი მაღაროელები გეგმის გადამატებით სამშობლოს აძლევენ მადალხარისხოვან მარგანეცს.

პ. ჭიოკაძე

ქასპის ცემენტის ქარხნის კოლექტივის წარმატება

ქასპი („კომუნისტის“ კორ.). ქასპის სტალინის სახელობის ცემენტის ქარხნის მუშათა კოლექტივმა ახალი საწარმოო გამოცდილების მიღწევით აღნიშნა მიმდინარე წლის პირველი ნახევრის დამთავრება და წლის მეორე ნახევრის დასაწყისი, კლინკერისა და ცემენტის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია მნიშვნელოვანი გადაჭარბებით.

წარმატებით მუშაობს ქარხნის კოლექტივი ივლისშიაც. გეგმების შესრულებაში აღებულ ტემპებს ქარხნის კოლექტივი მტკიცედ იცავს.

ვ. ბუზალაძე

საბჭოთა კავშირში

კვირას, 11 ივლისს, სტალინგრადის ცენტრალურ მოედანზე შესდგა ესტაფეტის ტრადიციული სტარტი გაზეთ „კრასნი სპორტის“ ჯილდოზე. ესტაფეტის მარშრუტი იმ ქუჩებში მიემართებოდა, სადაც ნახევარი წლის წინათ სასტიკი ბრძოლები სწარმოებდა გერმანელ დამპყრობლებთან. შეჯიბრებებში ქალაქის ასობით სპორტსმენი მონაწილეობდა.

* * *

ყარაგანდის ოლქის ფერადი მეტალურგიის სტახანოველთა შეკრების მონაწილეებმა მოწოდებით მიმართეს სპილენძის მრეწველობის ყველა მუშაკს—ვადამდე შეასრულონ წლიური გეგმა, მისცენ გეგმის ზევით მთავარი სარდლობის საგანგებო ფონდისათვის ათასობით ტონა ფერადი ლითონი.

* * *

ლენინგრადის სკოლები ემზადებიან ახალი სასწავლო წლისათვის. მიმდინარეობს შენობების, წყალსადენის, კანალიზაციის, ღუმელების შეკეთება.

სკოლაში პირველად შესულ ბავშვებს საბავშვო მოედნებში რიცხავენ და სანატორიულ კვებას აძლევენ.

ჩკალოვის ოლქის მხატვრული თვითმოქმედების 380 კოლექტივი ემზადება მხატვრული თვითმოქმედების სრულიად-საკავშირო დათვალიერებისათვის.

სტალინური პრემიის ლაურეატმა, კომპოზიტორმა სოლოვიოვ-სედოიმ დასწერა მუსიკა ექვსი ახალი სიმღერისათვის, რომელებსაც შეასრულებენ საგუნდო კოლექტივები და ცალკე შემსრულებლები.

* * *

ბოდაიბოს ოქროს საძიებლებზე შექმნილია საქალაქო დრამატიული თეატრი. თეატრის დასი შემდგარია მხატვრული თვითმოქმედების წრეების საუკეთესო შემსრულებელთაგან.

* * *

ვორონეჟის ოლქის განთავისუფლებულ რაიონებში აღდგენილია გერმანელ ოკუპანტთა მიერ დანგრეული ათობით კლუბი, ბიბლიოთეკა, ქოხ-სამკითხველო.

* * *

ულიანოვსკის ოლქის საქალაქო და სასოფლო სკოლების 27.000-ზე მეტი მოსწავლე მუშაობს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში. (საკდესი).

ახალგაზრდა მასწავლებლების გამოშვება

ასურ პედაგოგიურ სასწავლებლებში ახლა მთავრდება სახელმწიფო გამოცდები. წელს გამოშვებულ იქნება 16.485 მასწავლებელი ჩვენი ქვეყნის დაწყებითი არასრული საშუალო და საშუალო სკოლებისათვის.

რუსული ენის, ლიტერატურის, მათემატიკის, ფიზიკის, ისტორიის, ბუნებისმეტყველების ახალგაზრდა მასწავლებელთა მნიშვნელოვანი რაოდენობა იგზავნება განთავისუფლებული რაიონების ქალაქისა და სოფლის სკოლებში და რესპუბლიკის შორეულ მხარეებსა და ოლქებში. (საკდესი).

გაჩდამავალი დროშა სამხედრო-საშეფო მუშაობისათვის

სამამულო ომის დღეებში სანიმუშო სამხედრო-საშეფო მუშაობისათვის საქართველოს ხელოვნების მუშაკთა რესპუბლიკურ კომიტეტს ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა გადასცა გარდამავალი წითელი დროშა.

სამამულო ომის ორი წლის განმავლობაში საქართველოს ხელოვნების მუშაკებმა ჯარის ნაწილებში გამართეს 8.275 კონცერტი. 30-მა ბრიგადამ 800-მდე კონცერტი გამართა უშუალოდ ფრონტზე. ათასობით კონცერტი მოწყოს ჰოსპიტლებში, გასაწვევ პუნქტებში.

თეატრებისა და სანახაობრივ საწარმოთა რეპერტუარში შეტანილია ახალი დადგმები ომებზე. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა ჩაატარა სამი კონკურსი საუკეთესო სიმღერებზე. საქართველოს მხატვრები მოძრავ სამხატვრო გამოფენებს აწყობენ ჯარის ნაწილებსა და ჰოსპიტლებში.

(საქდესი).

ბაკურიანი

ბაკურიანი, 13 ივლისი (საკდესი). ბაკურიანი ბალნეოლოგიური კურორტია. ბაკურიანი ბალნეოლოგიური ინსტიტუტი. ბაკურიანი ბალნეოლოგიური ინსტიტუტი. ბაკურიანი ბალნეოლოგიური ინსტიტუტი

უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი, ორგანიზებულად ჩავაბაროთ პურის დამზადება

სამხედრო მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის

კიდევ რამდენიმე დღე, და გორის რაიონის ქვეშის კოლმეურნეები მომზადებული გავლენ თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის ასაღებად. ქვეშის სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობათა მინდვრებში წელს მოსავალს საუკეთესო პირი უჭირავს. მოსავლის ასაღებად მზადებაც შარშანდელთან შედარებით უკეთესად ჩატარდა.

ქვემო არცევის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვასო ანანიაშვილი) მზად აქვთ მთელი საჭირო ინვენტარი. წელს აქ 6 ახალი ურემი შეიძინეს. სამუშაოდ მზად არის სულ 10 ურემი, მომზადებულია 150 ცალი ტომარა და სხვ. მოსავლის აღების გეგმა განხილულია კოლმეურნეთა საერთო კრებაზე. არცეველებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მოსავალი აიღონ 3 სამუშაო დღეში.

ქვემო არცევის კოლმეურნეობას არც ციცაგიანთკარის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ვ. ჩიტუნაშვილი) ჩამორჩება. აქ მზად არის 4 ალი, 16 კევრი, 15 მცელავი. მოსავლის აღებას აწყებენ 15 ივლისიდან და პირობას იძლევიან, რომ დამთავრებენ 6 სამუშაო დღეში.

ქვეშის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობები პირობას იძლევიან, რომ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარებას შეასრულებენ 100 პროცენტით მოსავლის აღების დაწყებიდან ათ დღეში, 26 ივლისისათვის. ამჟამად ყველა კოლმეურნეობაში გამოყოფილია თავთავის მკრეფავები და უდანაკარგოდ აღების შემმოწმებელი რგოლები. კოლმეურნეები დიდი ინტერესით მოელიან მოსავლის აღების დაწყებას. კოლმეურნე ნადია ნატრიაშვილმა ვალდებულება აიღო დღეში გათიბოს ნახევარი ჰექტარი, კოლმეურნე სანდრო გამდლიშვილმა განაცხადა: შარშან მე დღეში 0,7 ჰექტარს ვთიბავდი, წელს კი 1 ჰექტარს გავთიბავ. ასე ერთსულოვნად ემზადებიან კოლმეურნეები უხვი მოსავლის ასაღებად.

კ. ფაჩავა

ქვეშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

დაიწყო ქერის აღება

კასპი („კომუნისტის“ კორ.). რაიონის კოლმეურნეობებმა უკვე დაიწყეს ქერის მოსავლის აღება. ქერის აღება პირველად დაიწყო სოფ. გრაკალის მაქსიმ გორკის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. გრაკლიშვილი). ბარნაბაინთკარის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. ლაფერაშვილი) ქერი უკვე აიღო 13 ჰექტარზე.

წარმატებით დაიწყეს ქერის აღება აგრეთვე სასირეთის (თავმჯდომარე ი. ონუფრაშვილი), იგოეთის (თავმჯდომარე მარო ჩადუნელი), ქებათის (თავმჯდომარე ს. ქებაძე) და ხოვლის № 2 (თავმჯდომარე შ. მიქუტაძეშვილი) კოლმეურნეობებმა. აღნიშნულმა კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს მოსავალი უმოკლეს ვადაში და უდანაკარგოდ აიღონ, სახელმწიფოს ჩაბარონ პირველი გადნალეწილი მარცვლეული.

ვ. გუზალაძე

აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმის შესრულება

მცხეთის რაიონმა 10 ივლისისათვის 100,2 პროცენტით შეასრულა სახელმწიფოსათვის საგაზაფხულო გამოკვების აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმა. ჩაბარებულია 4.955 კილოგრამი პარკი, ნაცვლად 4.945 კილოგრამისა. სოფ. ბიწმენდის 25 თებერვლის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა მარო რაზმაძემ ნაცვლად 65 კილოგრამისა ჩააბარა 106 კილოგრამი პარკი, მარო ხუხაშვილმა კი 59 კილოგრამის ნაცვლად 103 კილოგრამი. კარგი მუშაობის მაგალითები მოგვცეს აგრეთვე კოლმეურნეებმა მაშო ახანაშვილმა, მარო ზეციშვილმა, პელო საკაშვილმა, მაშო ჩალაგაშვილმა და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) მცხეთის რაიკომის მდივანი ქართველიშვილი
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მელიქიშვილი

ნათესებს გულმოდგინედ ამუშავებენ

ახალქალაქი (საქდესი). ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეები უხვი მოსავლიანობის ბრძოლაში მტკიცედ იცავენ ყველა აგროტექნიკურ წესებს ნათესების მოვლისას. 17.954 ჰექტარი მარცვლეული თავის დროზე გაიმარგლა; 1.709 ჰექტარი კარტოფილის ნათესებზე ორჯერ ჩატარდა კარტოფილისათვის მიწის შემოყრა. სისტემატურად სწმენდნენ ნათესებს ქვებისაგან. რაიონის კოლმეურნეობებმა ჩაატარეს 2.621 ჰექტარის სანადრეო ხვნა.

კოლმეურნეები სწავლობენ შრომით ეხმარებიან ფრონტს

დუშეთის რაიონის მაღაროსკარის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობები სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით იბრძვიან ახალ-ახალი წარმატებებისათვის. სოფ. ჩარგალის ვაჟა ფშაველას სახელობის კოლმეურნეობამ, რომელიც სოციშეჯიბრებაში ჩაბმულია სოფ. გომეწრის კოლმეურნეობასთან, წელს მიღებული 38 ხბო მთლიანად შეინარჩუნა და მსხვილფეხა საქონლის სულადობის 1943 წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა (ნაცვლად 200 სულისა ჰყავს 238 სული საქონელი).

სოფ. ჩარგალის კოლმეურნეობამ ჯერ კიდევ შარშან გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების 1943 წლის ვალდებულება. კოლმეურნეობას გადამეტებით შესრულებული აქვს თესვის გეგმა. წარმატებით სრულდება სხვა სამუშაოებიც. მთელმა რიგმა კოლმეურნეებმა განსაკუთრებით ისახელეს თავი სტახანოვური მუშაობით, ასეთია: 63 წლის გუთნის დედა გიორგი მარტიაშვილი და ბეკური ბაჩიაშვილი, ფერმის გამგე იოსებ გურასპაული, მწველავები დარეჯან გარსევანაშვილი და თეკლე ზურაბაშვილი. ფერმის მუშაკებმა საუკეთესოდ გამოაზამთრეს მეწველი საქონელი, კარგად მოუარეს ხბოებს. კოლმეურნეები დაუღალავად შრომობენ იმისათვის, რომ მზარდი დახმარება გაუწიონ ფრონტს.

ალექსი ხუციურაული

მაღაროსკარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

დროშის მიღებამ შრომის ახალი ენთუზიაზმი გამოიწვია

მაისის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის გარდამავალი წითელი დროშისა და საკაზერო ჯილდოს მიღებამ მაღლაკის ჩაის ფაბრიკის მუშაკებში შრომის ახალი ენტუზიაზმი გამოიწვია. ფაბრიკაში კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდა მუშაობა. ივნისის მზა პროდუქციის გამოშვების გეგმა 213 პროცენტით შესრულდა, 31.200 კილოგრამის ნაცვლად გამოშვებულია 67.960 კილოგრამი ხარისხოვანი პროდუქცია. ნედლეულის გადამუშავების ივნისის გეგმა შესრულებულია 121 პროცენტით.

მაღლაკის ჩაის ფაბრიკის დირექტორი შოგინა
პარტორგანიზაციის მდივანი თოკრთლაძე

აბრეშუმის პარკის დამზადება

ჩხოროწყუ („კომუნისტის“ საკ. კორ.). სოფ. ლეფურწყუმის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა, მეაბრეშუმე ქსენია ნაჭყებიამ 12 გრამ მურზე სახელმწიფოს 46 კილოგრამი პირველხარისხოვანი პარკი ჩააბარა. ჩხოროწყუს მხარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ნაზია ფოგუამ 10 გრამ მურზე—49 კილოგრამი პარკი, კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“ წევრმა ელენე სორდიამ—12 გრამ მურზე—59 კილოგრამი, ხოლო სოფ. ნაბიდნოვის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა არმინა ლაგვილავამ—10 გრამ მურზე—55 კილოგრამი.

ნ. ჯანჯღავა

* * *

თბილისის რაიონის ავჭალის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ ნაცვლად 301 კილოგრამისა სახელმწიფოს ჩააბარა 532,2 კილოგრამი პარკი—გეგმის 177,7 პროცენტი. გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე სოღანლუღის მოლოტოვის სახელობისა და დიმიტ ლენინის სახელობის კოლმეურნეობებმა.

აბრეშუმის ჭიის მოვლაში თავი ისახელეს: დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ეკა ხოლუაშვილმა და ვარა ბერიაშვილმა, ამავე სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ლიზა მძღვაშვილმა, ორთაჭალის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში—ბ. კვანტალიანმა და სხვ.

გ. ცანავა

* * *

გალის რაიონში წელს მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის შედეგად აბრეშუმის პარკის მაღალ მოსავალს იღებენ. სოფ. თაგილონის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა შალიფო არდაშელამ ჭია 23 დღეში გამოკვება და ნაცვლად 13 კილოგრამისა სახელმწიფოს ჩააბარა 23,8 კილოგრამი პარკი. აბრეშუმის ჭიას კარგად მოუარეს და უხვი მოსავალი მიიღეს ამავე სოფლის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა შინო ჯიმშვილიამ, მინა ქარჩავამ, სოფ. პირველი გალის სტალინური კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ფითო სარუამ, გალის მეორე საშუალო სკოლის მასწავლებელმა ლაისო ბიბლაიამ და სხვ.

შ. ჯოლოგუა

მოსავლის აღება
(საქმიწსახკომის 10 ივლისის ცნობებით)

რაიონები	აღებულია თავთავიანები პროცენტობით	აღებულია თივა პროცენტობით	დამზადებულია სილოსი ცენტნერით	შეტანილია თიბამაქა ცენტნერით	რაიონები	აღებულია თავთავიანები პროცენტობით	აღებულია თივა პროცენტობით	დამზადებულია სილოსი ცენტნერით	შეტანილია თიბამაქა ცენტნერით
აფხაზეთის ასსრ	—	2,8	—	0,3	დუშეთი	—	9,0	—	—
აჭარის ასსრ	—	3,1	—	—	თეთრი წყაროო	5,0	48,1	4,8	—
სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	—	2,2	—	—	თიანეთი	—	1,8	—	—
მაიაკოვსკი	—	100,0	—	—	გურჯაანი	22,7	25,3	19,7	—
ონი	—	0,1	—	—	სიღნაღი	25,9	58.8	2,7	0,2
ამბროლაური	—	5.0	—	—	წითელი წყაროო	4,6	72,7	98	—
ცაგერი	—	19,3	—	—	თელავი	4,9	111,1	—	—
ახალციხე	—	0,9	—	—	ყვარელი	38	60,6	—	0,1
ადიგენი	—	1,5	—	—	ლაგოდეხი	89	100	—	1,0
ასპინძა	—	6,2	—	—	თბილისი	10,9	66,1	—	—
ბაშური	—	86,7	—	—	მცხეთა	5,1	49,9	—	—
ქარელი	—	59,8	—	—	ყარაია	81,7	66,0	—	—
გორი	—	92,3	—	—	ბორჩალო	28,4	106,9	—	0,7
კასპი	1,2	70,5	—	—	ბოლნისი	10,9	114,7	1,2	—
ბორჯომი	—	—	7,7	—	საგარეჯო	2,7	44,9	—	—
წალკა	—	17,2	89,1	—	ბაზალეთი	—	26,2	8,3	—

ონის რაიონის ცნობები 1 ივლისისაა, ადიგენისა და ქარელის—5 ივლისის, ხოლო სიღნაღის—თიბამაქის შესახებ 10 ივლისის, დანარჩენ სამუშაოთა შესახებ კი—5 ივლისის.

ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება
(საქჩაის“ 10 ივლისის ცნობებით)

რაიონები	ივლისის გეგმის შესრულება	წარსული თვის ივლისის დასაწყისის ჩათვლით პროცენტობით	რაიონები	ივლისის გეგმის შესრულება	წარსული თვის ივლისის დასაწყისის ჩათვლით პროცენტობით
ბათუმი	7,6	42,6	წულუკიძე	4,7	42,9
ქობულეთი	12.3	43,7	ქუთაისი	20.5	52,0
ზალი	6.6	45,9	წყალტუბო	21.2	55,2
ოჩამჩირე	10 4	40,3	ტყიბული	10.4	51,1
გულრიპში	34.3	51,2	ცხაკაია	12 5	46,1
სოხუმი	—	48,0	აბაშა	11 4	45,0
გუდაუთი	8 2	42,9	ზუგდიდი	9 4	42,9
მახარაძე	9.6	42,0	ზუგდიდი	12 5	44,8
ჩოხატაური	13.1	43,4	წალენჯიხა	15.9	47,2
ლანჩხუთი	11,1	39,6	ჩხოროწყუ	10.5	43,9
სამტრედია	24,0	50,4	ხობი	14,5	45,3

ახალი ცნობების წარმოდგენლობის გამო გალისა და ნაბაკევის (გალის რაიონი) და გუდაუთის (გუდაუთის რაიონი) ჩაის ფაბრიკებიდან ცხრილში შეტანილია 5 ივლისის მხრივ ნაცემები.

პარტიული ცხოვრება

სალექციო მუშაობა—საღღეისო ამოცანების სიმაღლეზე

ბათუმი („კომუნისტის“ საკ. კორ.). საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების ლექტორთა ჯგუფები სერიოზულ მუშაობას ეწევიან მოსახლეობაში, სამამულო ომის მიმდინარე მომენტის, საერთაშორისო მდგომარეობისა და სხვა მთელი რიგი აქტუალური საკითხების პროპაგანდისათვის. ლექტორთა ჯგუფები დაკომპლექტებულია თეორიულად მომზადებული ამხანაგებით, ისინი უმთავრესად უმაღლესი განათლებით არიან და პროპაგანდისტული მუშაობის სათანადო გამოცდილება აქვთ.

საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ლექტორთა მიერ მიმდინარე წლის განმავლობაში ქ. ბათუმის საწარმოებსა, რაიონულ ცენტრებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ჩატარებულია 800-მდე ლექცია, რომელთაც 50 ათასზე მეტი კაცი დაესწრო.

ლექციები და მოხსენებები ძირითადად იკითხება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოს მიერ რეკომენდებული თემატიკის მიხედვით. თემების შერჩევა ხდება აგრეთვე პარტიის საოლქო კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების მიერ და თვით ლექტორების ინიციატივითაც. მთელი რიგი ლექციები მომზადდა ამხანაგ **სტალინის** საპირველმაისო ბრძანებიდან გამომდინარე ცალკეულ საკითხებზე. უკანასკნელად მომზადდა აგრეთვე ლექციები ომის ორი წლის შედეგებზე.

აჭარის რაიონებში, საკოლმეურნეო სოფლის მოსახლეობაში პოპულარობით სარგებლობს საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის ლექტორის ამხ. ვ. კუბლაშვილის ლექციები. უკანასკნელი 3-4 თვის განმავლობაში მან მოამზადა 8 ლექცია შემდეგ თემებზე: „სამამულო ომის ორი წელი“, „ომის მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები“, „ბრძოლები სტალინგრადისათვის“, „1942-43 წლის ზამთრის კამპანიის შედეგები“ და სხვ.

ზათუმის ფაბრიკა-ქარხნების მუშათა აუდიტორია კარგად იცნობს ამხ. ნ. გელბაკს, რომელიც ხშირად გამოდის ლექციებით ომის მიმდინარე მომენტისა და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

აჭარის შორეული სოფლების მცხოვრებნი, ხულოსა და ქედის რაიონების კოლმეურნეები ინტერესით ისმენენ ამხ. ზ. ართილაყვას საუბრებს საერთაშორისო ამბებსა და საკოლმეურნეო სოფლის წინაშე მდგომ ამოცანებზე. სამამულო ომის თემებზე ლექციებს კითხულობენ აგრეთვე ამხ. ი. გოსტეევი, გრ. ჯიჯეიშვილი, ი. სტორჩეოი, ნ. პატარაია და სხვ.

ლექციები და საკომსულტაციო საუბრები ტარდება აგრეთვე საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის საკითხებზე. ამ მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობენ ამხ. მ. სტამბოლიშვილი და კ. ბაბილოძე, საკონსულტაციო ლექციებსა-საუბრებით აგიტატორთა და წამკითხველ-მეუბრეთათვის სისტემატურად გამოდიან ამხ. ბ. კილაძე და ნ. რიეკოვა.

უნდა აღინიშნოს, როგორც დადებითი მოვლენა, ის გარემოება, რომ ზეზეთ „საბჭოთა აჭარის“ ფურცლებზე ამ ბოლო დროს თავსდება ადგილობრივი ლექტორების თეორიული სტატიები. ეს კარგია, საჭიროა გაზეთმა ამ მიმართულებით კიდევ უფრო გააძლიეროს მუშაობა.

მაგრამ თითქმის სრულებით არ არის გამოყენებული ადგილობრივი რადიოგადაცემა სალექციო პროპაგანდისათვის. საჭიროა ეს ნაკლი რაც შეიძლება მალე გამოსწორდეს.

სალექციო მუშაობის ნაკლს უნდა მიეწეროს ისიც, რომ ლექციათა ციკლში ნაკლები ადგილი უჭირავს ისტორიულ თემებს. საოლქო კომიტეტის ლექტორთა მიერ ისტორიულ თემებზე მთელი ექვსი თვის განმავლობაში მომზადებულია ლექცია მხოლოდ სამ თემაზე. ნაკლებად მზადდება და ტარდება ლექციები სამეურნეო საკითხებზე. უნდა ითქვას, რომ სალექციო მუშობაში ჯერ კიდევ საკმაოდ არ არიან ჩაბმულნი ის ამხანაგები, რომელნიც შეიძლება გამოყენებულ იქნან ამ საქმეში. მოთხოვნილება ლექციებზე კი როგორც ქალაქად, ისე სოფლად, ერთობ დიდია.

როგორც წესი, ყოველი ლექცია წინასწარ განიხილება ლექტორთა ჯგუფში, სადაც ლექტორი ღებულობს საჭირო შენიშვნებსა და მითითებებს. ლექციების უმრავლესობა კარგად არის მოფიქრებული და მომზადებული. მაგრამ არც ისე იშვიათია ისეთი შემთხვევა, როცა ლექცია სათანადოდ არ არის დამუშავებული, ლექტორი ზოგადად ეხება ამა თუ იმ საკითხს, და სათანადოდ ვერ ამუქებს იმ საბრძოლო ამოცანებს, რომელნიც დგას ჩვენი ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე.

საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პროპაგანდის განყოფილებებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ ყველა ლექცია თავისი შინაარსით მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე იდგეს. ლექცია უნდა გვეხმარებოდეს ხალხის მობილიზაციის საქმეში იმ საბრძოლო ამოცანების გადასაწყვეტად, რომელთა განხორციელება დაიჩქარებს ჩვენს გამარჯვებას ვერაგ მტერზე—პირსისხლიან ფაშიზმზე.

ნ. პაიჭაძე

საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

ფოთი („კომუნისტის“ საკ. კორ.). შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის მეორე პლენუმი, რომელშიც განიხილა შემდეგი საკითხები: რაიონში ციტრუსოვანი კულტურებისა და ეკალიპტის ნარგავების მდგომარეობისა და შემდგომში მათი მოვლა-განვითარების ღონისძიებათა შესახებ; წითელარმიელთა ოჯახებისადმი დახმარების მდგომარეობაზე და პარტიაში მიღებისა და ახალმიღებულთა შორის მუშაობის შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. გაბუნია. მეორე საკითხზე—შრომელთა დეპუტატების ფოთის ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ი. ლაღიძე, ხოლო მესამე საკითხზე საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. ი. ქოიავა. მოხსენებების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ა. ჭყონიამ, ე. ჩიქვანიამ, ა. დემანიამ, ა. ჯანუაშვილმა, ლ. ლოლუამ, გ. მელიქიამ, ი. შურღაიამ, ი. ბეგეჟკორმა, ვ. ბოკერიამ, გ. სარქისოვმა, ბ. გურგენიძემ და სხვ.

ზყიბულის რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირზე

ტყიბული („კომუნისტის“ საკ. კორ.). 11 ივლისს ტყიბულში ჩატარდა პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირი. თათბირი გახსნა საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მეორე მდივანმა ამხ. ი. გორგიაძემ. ტყიბულის რაიონის საწარმოების მიერ გასული ექვსი თვის ეკონომიის შესრულებისა და სამეურნეო წლის მეორე ნახევრის ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანის მოადგილის აღმასრულებელი ამხ. ე. ჯვებენავა.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, რაიონის მთელმა რიგმა საწარმოებმა ამხანაგ **სტალინის** საპირველმაისო ბრძანების შესრულებისათვის ბრძოლით, სოციშეჯიბრების ფართოდ გაშლით გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს და ვადამდე გადაჭარბებით შეასრულეს ნახევარი წლის გეგმები. მაგალითად, ორბარის ჩაის ფაბრიკა (დირექტორი ჩიგოგიძე) ყოველთვიურად დიდი გადამეტებით და მაღალხარისხოვნად ასრულებს გეგმებს. წინმიდის ქვანახშირის ამოღების გეგმის შესრულებაში ლენინის სახელობის მაღარო (გამგე ლ. ჩქარეული) და სხვ.

აქტივის თათბირზე მკაცრად გააკრიტიკეს ტყიბულის მაღაროების, შახტებისა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მუშაობა.

როგორც მოხსენებიდან, ისე კამათიდან გამოირკვა, რომ ტყიბულის რაიონის მთელი რიგი საწარმოები, პირველ რიგში კი ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. ზოგ საწარმოში მოუწესრიგებელია შრომის საკითხები, შრომის დისციპლინა მოიკოჭლეს, ადგილი აქვს კვალიფიციური მუშების არარაციონალურად გამოყენების შემთხვევებს, და ა. შ.

კამათში მონაწილეობა მიიღო სულ 18 კაცმა. მოხსენებისა და მის გარშემო გამართული კამათის საფუძველზე თათბირმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

დ. საბელაშვილი

დეპეშები

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ზრდა

ნიუ-იორკი, 13 ივლისი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ 1943 წლის პირველ ნახევარში ამერიკის შეერთებულ შტატებში მწყობრში ჩადგა 6 ათასზე მეტი ახალი სამხედრო გემი, რომელთა შორის ნახევარზე მეტი სადესანტო კარჭაპია. ახალი გემების მთელი ტონაჟიც ნახევარზე მეტი მოდის სამხედრო ხომალდებზე, ჰათ შორის სახაზო გემებზე, ავიამზიდებზე, საესკადრო ნაღმრსნებსა და წყალქვეშა ნავებზე.

მიმდინარე წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში მწყობრში ჩადგა სამნახევარჯერ მეტი სამხედრო ხომალდი, ვიდრე გასული წლის შესაბამი პერიოდის განმავლობაში. ყოველ სამ სამხედრო ხომალდზე, რომლებიც მწყობრში იყვნენ 1 იანვრისათვის, ფლოტმა თითო ახალი ხომალდი მიიღო.

ახალი გემების მშენებლობა ორნახევარი მილიარდი დოლარი დაჯდა, ხოლო მათი ტონაჟი ერთ მილიონ ტონას აღწევს.

ამასთან ერთად სამხედრო-საზღვაო ფლოტმა წელს 9 ათასზე მეტი თვითმფრინავი მიიღო.

უნგრეულ გლეხებს იძულებით აერთმევენ სურსათს

სტამბოლი, 12 ივლისი (საკდესი). უნგრეთის ხელისუფალნი ამზადებენ ახალ კამპანიას გლეხებისათვის „ზედმეტი“ პურის ჩამოსართმევად გერმანიისათვის მარცვლეულის მიწოდების შესასრულებლად. მარცვლეულის იძულებითი შეგროვება ახლა გაცილებით უფრო საძნელოა ხელისუფალთათვის, ვიდრე შარშან იყო, რადგან წელს მოსავალს კარგი პირი არ უჩანს. უნგრეთის გაზეთი „პესტერ ლლოიდი“ გვაცნობებს უნგრეთის სასოფლო-სამეურნეო პალატის თავმჯდომარის ხედერვარუს გამოსვლის შესახებ, რომელმაც პალატის სხდომაზე განაცხადა, რომ გლეხებს „მეტად აღელვებს სახელმწიფოსათვის პროდუქტების იძულებით ჩაბარება“ და რომ მთავრობა ალბათ ვერც შესძლებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ამოკრებას „ახალი სისტემით გათვალისწინებული ოდენობითო“.

იმავე გაზეთის ცნობით, მომარაგების მინისტრმა ლაიოშ სასმა მოუწოდა უნგრელ მოსახლეობას „უარი სთქვან თავიანთ მოთხოვნილებებზე და უყოყმანოდ დამორჩილონ ხელმოკლეობას“. სასმა გააფრთხილა გლეხები, რომ იგი „დამშვიდებული სინდისით კვლავ მიმართავს შეზღუდვის უფრო მკაცრ ზომებს და უფრო მეტ მსხვერპლს მოითხოვს“.

არა სურთ რა პროდუქტების ჩაბარება გერმანიაში გასაგზავნად, უნგრელი გლეხები უმალავენ მათ ხელისუფალთ. უნგრეთის სოფლებში სწარმოებს პროდუქტების „ბოროტ დამმალველთა“ ერთობლივი ჩხრეკა და დაპატიმრებანი.

ბერძენ პატრიოტთა საბრძოლო ოპერაციები

სტამბოლი, 13 ივლისი (საკდესი). მიღებული ცნობებით, ამას წინათ ბერძენთა ერთმა პარტიზანულმა რაზმმა მოსპო 63 სატვირთო. მანქანისაგან შემდგარი გერმანელთა მოტორიზებული კოლონა. ბრძოლაში მოკლულ და ტყვედ წაყვანილ იქნა გერმანელთა 115 ჯარისკაცი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს დიდძალი დავლა, მათ შორის ბევრი იარაღი და სურსათი. ამ ბრძოლაში რაზმს ზარალი არ მოსვლია.

უცხოეთის ქრონიკა

იუგოსლავიის უდიდესი ქალაქების მოსახლეობა გაფრთხილეს, რომ 1 აგვისტოდან საკვებით სწყდება პურით მომარაგება. მოსახლეობას ცინიკურად აძლევენ წინადადებას თვითვე „იზრუნოს თავისი მომარაგებისათვის“.

* * *

ბრაზილიის ხელისუფლებამ სან პაულოს შტატის სანაპირო რაიონებიდან შიგნითა ოლქებში გადაიყვანეს ყველა გერმანელი და იაპონელი ქვეშევრდომი, აგრეთვე ბრაზილიელ იტალიელი.

იუგოსლავიელმა პატრიოტებმა მოჰკლეს ბანია ლუკას პროვინციის პაველიჩელი „ფუბერნატორი“.

* * *

ზაგრებში სიკვდილით დასაჯეს 50 მძევალი. იმასთან დაკავშირებით, რომ დაწესებულ ვადაში ვერ იპოვნეს იუგოსლავიელი პატრიოტები, რომლებმაც ააფეთქეს რკინიგზის ეკიპი ზაგრების მახლობლად, გერმანელი ჯარისკაცები ესვრიან ქალაქის ყოველ შეხვედრებს, რომელიც გამოჩნდება ქუჩაში 22 საათიდან 5 საათამდე. (საკდესი).

ა. კორნეიჩუკის „ფრონტის“ ქართული თარგმანის შესახებ

ჟურნალ „მნათობის“ 1943 წლის №№ 1 და 2-ში დაიბეჭდა ა. კორნეიჩუკის ცნობილი პიესის „ფრონტის“ ქართული თარგმანი, რომელიც ეკუთვნის ამხ. ლ. კალანდაძეს. სამწუხაროდ „მნათობის“ რედაქციამ მოათავსა პიესის მეტად სუსტი თარგმანი.

თარგმანში აუარებელი შეცდომებია. დავასახელოთ უმთავრესი მათგანი.

პიესაში არის ასეთი მოქმედი პირი—სპეციალური კორესპონდენტი კრიკუნი. ავტორი მას ახასიათებს, როგორც მლიქვნელს. მთარგმნელი არ ეთანხმება ავტორს და ასწორებს კრიკუნის ტექსტს. კრიკუნი ეუბნება სარდალ გორლოვს:

— Разрешите вас **запечатлеть** для столичной прессы.

ქართული თარგმანი:

— ნება მომეცით სურათი **გადაგიღოთ** დედა-ქალაქის პრესისათვის.

ანდა:

— Как вы справедливо **соизволили** отметить.

— როგორც ეს თქვენ სამართლიანად შენიშნეთ.

მთარგმნელი გვერდს უვლის ნიუანსებს, რომლებითაც დრამატურგი კრიკუნის მლიქვნელობას ამჟღავნებს. ეს დამახინჯებაა.

ბევრი სიტყვა, ეტყობა, მთარგმნელს სწორად არ ესმის და ამიტომ მიმართავს ისეთ ქართულ შესატყვისებს, რომ იცვლება აზრი, შინაარსი. პიესაში სწერია:

— Да, закатили сегодня, чуть не страницу, **болтовни.**

ქართულად:

— ნახეთ, დღეს თითქმის მთელი გვერდი **აეჭრელეს ამდაუბდით.**

ამდაუბდა და ლაყბობა ერთი და იგივე არ არის.

— Этот любит в **облаках жить,** а мы — на земле.

— მას **ჰაერში** უყვარს **ფრენა,** ჩვენ-კი დედამიწაზე ვცხოვრობთ.

გორლოვი ირონიით ამბობს, — в облаках жить, — ხოლო ჰაერში ფრენა სავსებით ნორმალური მოვლენაა.

პიესაში სწერია:

Мирон: новую модель с конструктором показывали...

აქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ მირონმა და კონსტრუქტორმა ბელდს უჩვენეს ახალი მოდელი. თარგმანში კი შებრუნებით სწერია:

— ახალი მოდელი და მისი კონსტრუქტორი ვუჩვენეთ.

პიესაში სწერია: пахнет **пораженчеством,** ქართულ თარგმანში—**პროტესტანტული** სუნი ასდის; რუსულად — но слабоват, ქართულად—სუსტი ჭკუის პატრონია და ა. შ.

ზოგიერთ გამოთქმას მთარგმნელი აქართულებს. მაიორი გენერალ ოგნევს ხშირად უპასუხებს— არ ვიცი. ჯულმოსული გენერალი ასე მიმართავს მაიორს:

— Какого же чорта вы приехали, товарищ **Немогузнать?**

თარგმანში ეს ფრაზა ასეა:

— მაშინ რაღა ჯანდაბისათვის მოხვედით, ამხანაგო **არვიცაძე.**

სხვენ ვადნერარულებულია კოლოსოვის ყვები:

— Я его называю Опуфрий Копыто:

— მე ოფუფრი ფლოქვაძეს ვეძახი.

ხშირად მთარგმნელი სიტყვა-სიტყვით სთარგმნის, რის შედეგად დამახინჯებულ ტექსტს ვიღებთ.

Огнев — пойдите в домик напротив, к моему коменданту и скажите, что я приказал вас арестовать.

ოგნევი — წადით პირდაპირ სახლში ჩემს კომენდანტთან და უთხარით, რომ ვუბრძანებ დაგაპატიმროთ თქვენ.

კოლოსი ეუბნება ოგნევს:

— А я думал, ты его сейчас стукнешь. Вот трусливая шкура.

— მე კი მეგონა ტყვიას დაახლიდი. საბრალო ლაჩარი ყოფილხარ.

ვინ არის ლაჩარი ოგნევი თუ მაიორი, რომლის შესახებაც არის საუბარი ამ სცენაში?

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეტყობა, თარგმანი საერთოდ შესრულებულია ნიუანსათვის, უგულისყურო. ამიტომ დაშვებულია მთელი რიგი შეცდომები, რომელთაგან ზოგიერთს პოლიტიკური ხასიათი აქვს. აი დაუდევარი თარგმანის ნიმუშები: **четыре эскадрона** — **ორ** ესკადრონს; ждет **ваших** клещей — ელის **ჩვენს** მარწუხებს; чахотку достать можно, это факт, — ჭლეჭი გაგიჩნდეს, ფაქტია; только **дурак** этого не понимает — ამას მხოლოდ ბრმა ვერ ხედავს; **я знаю,** что думает о вас командующий — **მე არ ვიცი,** რას ფიქრობს თქვენზე სარდალი; А все происходит от одного: мозолей-то у них не было, откуда же у них закалка возьмется — სულ-კი ერთისაგან არის, კოჟრები არ ჰქონიათ ხელებზე, საიდან ექნებათ გამოწრთობილი და ა. შ